

ლოგოტ დაცივათ თავი
სიცხვა და მზის სხივაზის
მავნე ზემოქმედებისაგან



როგორ დავიცვათ თავი სიცხისა და მზის სხივების მავნე ზემოქმედებისაგან

ზედმეტად ცხელი ამინდში შესაძლოა აღამიანის ორგანიზმის დამცავმა სისტემებმა ვერ უზრუნველყოს სხეულის შესაბამისი გაგრილება და განვითარდეს სითბური დაავადებები, რაც ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე უარყოფითად აისახება და შესაძლოა ლეტალური შედეგითაც კი დამთავრდეს. განსაკუთრებული რისკის ქვეშ იმყოფებიან:

- ახალშობილები, ბავშვები და მოხუცები.
- ადამიანები გულსისხლძარღვ-თა სისტემის დაავადებებით.
- ადამიანები ენდოკრინული და ნეგროლოგიური დარღვევებით.
- ინდივიდები, რომლებიც იდებენ ზოგიერთ მედიკამენტს (ფენოთიაზინები, ბარბიტურატები, დიურგ-ტიკები).
- ჭარბი წონის მქონენი.
- ფიზიკური პირები, რომელთაც მუშაობა უწევთ არავენტილირებულ გარემოში.
- ალკოჰოლის ჭარბად მომხმარებლები.



სითბური დაავადებების თავიდან აცილება შესაძლებელია. ამისათვის საჭიროა ნებისმიერმა ადამიანმა გაითვალისწინოს საკუთარი ორგანიზმის მდგომარეობა და გაითვალისწინოს ქვემოთ ჩამოთვლილი რეკომენდაციები:

- ეცადეთ იყოთ სიგრილეში, კარგად კონდიცირებად გარემოში, რაც პირველ დამცავ ფაქტორს წარმოადგენს სითბოსთან დაკავშირებული ავადობის და სიკვდილობის პრევენციაში.
- მიიღეთ დიდი რაოდენობით სითხე (თუ ეჭიმი გიზლუდავთ დიდი ოდენობით სითხის მიღებას, ჰქითხეთ, მაქსიმუმ რა რაოდენობის სითხის მიღება შეგიძლიათ ცხელი დღეების განმავლობაში).



- შეზღუდეთ ალკოჰოლი და ზედმეტად ტპბილი სასმელის, ასევე ზედმეტად ცივი წყლის მიღება (შესაძლოა განვითარდეს კუჭის სპაზმი).

- მიიღეთ მინერალები და მარილები
- ატარეთ ლია შეფერილობის (გამონაკლისია თეთრი), ნატურალური ქსოვილისაგან დამზადებული თავისუფალი ტასაცმელი, ფართოფარფლებიანი ქუდი ან ქოლგა, მუქი ფერის სათვალეები.
- სიფრთხილით დაგეგმეთ გარეთ შესასრულებელი სამუშაოები.
- არ დატოვოთ ბავშვები და მოხუცები მანქანაში უმეთვალყურეოდ.



სითბურ დაავადებებთან ერთად ზაფხულის ცხელ დღეებში ხშირია მზით დამწვრობის შემთხვევები, განსაკუთრებით, ახალგაზრდა გოგონებში, რომელთაც მიაჩნიათ, რომ რუჯი ნიშნავს კარგ ჯანმრთელობას და ესთეტიკურ სილამაზეს. თუმცა, დერმატოლოგების რჩევით გასათვალისწინებელია ის, რომ ხშირი გარუჯვა იწვევს კანის ნაადრევ დაბერებას, პიგმენტური ლაქების წარმოქმნას, კანის კიბოს განვითარების რისკის მომატებას იწვევს. მზის სხივებმა არამარტო კანის პრობლემები, არამედ მხედველობის დარღვევებიც შესაძლოა გამოიწვიოს, მაგ, კატარაქტა, რაც თავისმხრივ სიბრძავის გამომწვევი წამყვანი მიზეზია.

მზის სხივებით და სოლარიუმებში ზედმეტად დასხივების შემთხვევაში ვითარდება კანის დამწვრობა. ამ დროს ვლინდება შემდეგი სახის სიმპტომები: სისუსტე, დაზიანებული უძნის შეშუპუბა, სითხის შემცველი ბუმბუკების წარმოქმნა, ტკივილი. შესაძლოა განვითარდეს სხეულის ტემპერატურის მომატება, გულისრევა. მზეზე ან სოლარიუმში ხანგრძლივად ყოფნის შემდეგ ასეთი სიმპტომების გაჩენისთანავე, დაზიანებულ უბნებზე დაიფინეთ ცივი კომპრესები, მიიღეთ ცივი აბაზანა, წაისვით ალოეს ექსტრაქტის შემცველი გამაგრილებელი გალი.



მიმართეთ ექიმს, თუ:

- დამწვრობა მიიღო 1 წლამდე ასაკის ბავშვმა,
- განვითარდა ცხელება (მოიმატა სხეულის ტემპერატურამ),
- გაჩნდა სითხით სავსე ბუშტუკები და ძლიერი მტკიცნეულობა.

დაიმახსოვრეთ:

- მზით დამწვრობის შემდეგ მოერიდეთ მზეზე განმეორებით გასვლას
- მზით დამწვრობის მიღება შესაძლებელია ღრუბლიან ამინდშიც.
- არ გახეთქო დამწვრობის შემდეგ წარმოქმნილი ბუშტუკები

მზით დამწვრობის რისკ-ჯგუფებს
მიეკუთვნებიან:

- ადამიანები, რომელთაც აქვთ დიაშეფერილობის კანი და თმა, ლურჯი თვალები.
- 6 წელზე ნაკლები და 60 წელზე მეტი ასაკის ადამიანები.

მზით დამწვრობის თავიდან ასაცილებლად:



- შეზღუდეთ მზეზე ყოფნის ხანგრძლივობა, განსაკუთრებით პიკის საათებში (შუადღემდე 2 საათით ადრე და 2 საათით გვიან).
- საგულდაგულოდ შეიმზრალეთ სხეული წყლის წვეთებისგან, რამდენადაც მათ ლინზის ეფექტი აქვთ და აძლიერებენ მზის სხივების დამაზიანებელ მოქმედებას.
- ყურადღება მიაქციეთ ულტრაიისფერ (უ) ინდექსს, რაც მზით დამწვრობის განვითარების რისკს გვიჩვენებს.
- ატარეთ დია ფერის (გამონაკლისია თეთრი ფერი), ნატურალური ქსოვილისაგან დამზადებული თავისუფალი ტასაცმელი, ფართოფარფლებიანი ქუდი, ქოლგა; მუქი სათვალეები 99-100%-ით დამცავი ეჭვებით.
- გამოიყენეთ მზისგან დამცავი კრემები, რომლის SPF (მზისგან დამცავი ფაქტორი) 30 და მეტია. წაისვით ის მზეზე გასვლამდე 20 წთ-ით ადრე და ყოველ 2 საათში. დამცავი კრემი უნდა შეირჩეს კანის ტიპისა და ულრტრაიისფერი სხივების ინტენსიობის შესაბამისად. მოერიდეთ გაურკვეველი ხარისხის უცნობი კრემის გამოყენებას.

წყარო: www.cdc.gov/Features/ExtremeHeat/
www.gosunsmart.org/yourskin/yourskin_effects.shtml
www.medicinenet.com/hyperthermia/page5.htm